EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეხუთე სექცია

M. K. N. შვედეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 72413/10)

სამართლებრივი შეჯამება

მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ

სტრასბურგი

27 ივნისი, 2013 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მუხლი 3

ფაქტობრივი გარემოებები:

განმცხადებელი წარმოშობით არის ერაყიდან. 2008 წელს მან შვედეთის სამეფოს მიმართა თავშესაფრის მოთხოვნით. იგი ამტკიცებდა, რომ არის ქრისტიანი, მისი ცოლი და ორი შვილი ცხოვრობენ სირიაში, თავად განმცხადებელი კი იდევნება რელიგიური ნიშნით და იმ საფუძვლით, რომ ერთ-ერთი წარმატებული კომპანიის თანამესაკუთრეა. განმცხადებლის ცნობით, ის გაიტაცეს და გამოსასყიდის სახით 50 000 აშშ დოლარი გადაახდევინეს, შემდგომშიც სძალავდნენ ფულს, ემუქრებოდნენ შვილების დახოცვით, აუფეთქეს მაღაზია, ცოლ-შვილის სირიაში გადაყვანის შემდეგ კი მოუკლეს რძალი. შვედეთის სახელმწიფომ განმცხადებელს თავშესაფრის მინიჭებაზე უარი უთხრა, რამდენადაც გატაცებიდან ერთი წლის განმავლობაში ის ერაყში ცხოვრობდა ყოველგვარი მუქარის გარეშე, სირიაში საცხოვრებლად გადასვლამდე მისი ოჯახი დაბრუნდა ერაყში, რძლის მკვლელობასა და განმცხადებლის დევნას შორის კი მიგრაციის საბჭომ კავშირი ვერ დაადგინა.

განმცხადებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა და დამატებით მიუთითა, რომ მუჯაჰედინმა მისი ჰომოსექსუალური ურთიერთობის თაობაზე შეიტყო და მისი პარტნიორი ჩაქოლეს, 2009 წლიდან კი მუჯაჰედინი განმცხადებელსაც დევნიდა. მიუხედავად ჰომოსექსუალობისა, განმცხადებელი აპირებდა ცოლთან ერთად ცხოვრების გაგრძელებას. საბოლოოდ, მიგრაციის საბჭომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მონათხრობი ვერ აკმაყოფილებდა სანდოობის კრიტერიუმს. მიგრაციის საბჭოს არგუმენტაცია გაიზიარა მიგრაციის სასამართლომაც.

სამართლებრივი შეფასება

კონვენციის მე-3 მუხლი

ევროპულმა სასამართლომ განმეორებით აღნიშნა, რომ თუკი ქვეყნიდან გაძევების შემთხვევაში პირი დაექვემდებარება კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას, ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება არ-გაძევების ვალდებულება. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად დაექვემდებარება განმცხადებელი არასათანადო მოპყრობის რეალურ რისკს; თავის მხრივ კი, სადავო მოპყრობა უნდა აღწევდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. კონვენციის მე-3 მუხლის აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ნორმა გამოიყენება იმ პირებისა და ჯგუფებისგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაშიც, რომლებიც სახელმწიფოს წარმომადგენლები არ არიან, თუმცა უნდა დამტკიცდეს, რომ მიმღები სახელმწიფოს ოფიციალურ ორგანოებს არ შეუძლია ამ საფრთხისგან სათანადო დაცვის შეთავაზება.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი პოზიციის გამამყარებელი მტკიცებულებები, თუმცა ევროპული სასამართლო

მხედველობაში იღებს თავშესაფრის მაძიებლების განსაკუთრებულ მდგომარეობასაც, რაც ზოგიერთ შემთხვევაში გულისხმობს წარმოშობილი ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტას. მიუხედავად ამისა, თუკი განმცხადებლის მონათხრობი იწვევს სანდოობასთან დაკავშირებულ ეჭვს, მან უნდა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება.

ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მოცემულ პერიოდში ერაყში არსებულ ზოგად მდგომარეობაზე და მიიჩნია, რომ ერაყში არსებული ვითარება არ იყო იმდენად მძიმე, რომ განმცხადებლის დაბრუნება ავტომატურად გატოლებოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

გარდა ზოგადი მდგომარეობისა, განმცხადებელი აპელირებდა ერაყში ქრისტიანების სტატუსსა და მის პერსონალურ მდგომარეობაზე. ქრისტიანებთან მოპყრობის თაობაზე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გარკვეული საფრთხეების მიუხედავად, არსებობდა ერაყში საცხოვრებელი რეგიონის შეცვლის შესაძლებლობა - საცხოვრებლად ქურთისტანში გადასვლა, რომელიც ქრისტიანებისთვის უსაფრთხო ტერიტორიად ითვლება. ამ შესაძლებლობით სარგებლობისთვის საჭიროა გარკვეული გარანტიების არსებობა. სხვა საკითხებს შორის, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ქურთისტანის რეგიონში შესვლისას ადმინისტრაციული სასაზღვრო კონტროლის სირთულეებზე, თუმცა საერთაშორისო წყაროებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ საზღვარზე ქრისტიანებს დამატებით სირთულეს არ უქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ქურთისტანის რეგიონში (UNHCR-ის მონაცემებზე დაყრდნობით) არსებობდა სამუშაო ადგილები და ჯანდაცვის თუ სოციალური უზრუნველყოფის კუთხით საჭირო გარანტიები. შესაბამისად, ქურთისტანის რეგიონში გადასახლების შემთხვევაში, განმცხადებელი არ დაექვემდებარებოდა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას.

პერსონალური გარემოებები

მიუხედავად ზემოაღნიშნული შეფასებისა, განმცხადებელთან დაკავშირებულმა კონკრეტულმა პერსონალურმა გარემოებებმა, შესაძლოა, არაგონივრული გახადოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ალტერნატივა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა ეროვნულ დონეზე მიგრაციის საბჭოს და მიგრაციის სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უარის ამომწურავ მიზეზებს მოიცავდა. ამასთან, განმცხადებელს ჰქონდა საკუთარი არგუმენტების წარმოდგენის საშუალება (იურიდიული დახმარება და თარჯიმნის მომსახურება).

რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტებს მისი რძლის მკვლელობის და უშუალოდ მასთან დაკავშირებული ინციდენტების თაობაზე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად ამ ინციდენტების სერიოზულობისა, ისინი 2006-2008 წლების პერიოდში მოხდა, გარემოებები კი არ მიუთითებდა, რომ ამ ინციდენტების ჩამდენ პირებს გააჩნდათ განგრძობადი ინტერესი მომჩივანის მიმართ და რამდენიმე წლის შემდეგაც მოძებნიდნენ მას ქურთისტანის რეგიონში.

ჰომოსექსუალობის და პარტნიორის მკვლელობის შესახებ განმცხადებელმა მხოლოდ მიგრაციის საბჭოსგან უარის მიღების (მიახლოებით, ერთი წლის) შემდეგ განაცხადა, რაც ევროპული სასამართლოსთვის საყურადღებო აღმოჩნდა. ამ საკითხზე განმცხადებელი არ აპელირებდა ევროპული სასამართლოს წინაშეც და მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს პოზიციის საპასუხოდ აღნიშნა ალ-ტავაჰიდის და ალ-ჯიჰადისგან წამოსული მუქარები, მუჯაჰედინის ხსენების გარეშე. ამასთან, იგი გეგმავდა ცოლთან და შვილებთან თანაცხოვრების გაგრძელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა თავშესაფრის ამ საფუძვლით მოთხოვნის დროული და გონივრული ახსნა-განმარტება, რის გამოც მოთხოვნის ეს ნაწილი არასანდოდ იქნა მიჩნეული.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ქურთისტანის რეგიონში გადასახლების შემთხვევაში განმცხადებელი არ დაექვემდებარება კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას. ამასთან, ერაყში არსებული ზოგადი მდგომარეობა და განმცხადებელთან დაკავშირებული პერსონალური გარემოებები არ მიუთითებს ამგვარი რისკის არსებობაზე. შესაბამისად, მისი ერაყში დაბრუნება არ გამოიწვევს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.